ინფორმაცია

მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ 2021 და 2022 წლის განვლილ პერიოდში გამოვლენილი დარღვევების და პრევენციისათვის გატარებული ღონისძიებების შესახებ

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახური მუდმივ რეჟიმში ანხორციელებს მონიტორინგს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, რათა დროულად მოხდეს გამოვლენა და სამართლებრივი რეაგირების განხორციელება ყველა სამართალდარღვევასთან დაკავშირებით. განსაკუთრებით საყურადღებოა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების უნებართვო დაკავების ფაქტების გამოვლენა და შესაბამისი სამართლებრივი რეაგირების განხორციელება. აღნიშნულ პროცესში წლების განმავლობაში გამოტანილი იქნა გადაწყვეტილებები დაჯარიმება-დემონტაჟის შესახებ, კერძოდ, 2016-2017 წლეებში იდენტიფიცირებული და დაჯარიმებული იქნა 20 სამართალდამრღვევი. 2018 წელს გამოიცა დაჯარიმება-დემონტაჟის 16 ბრძანება, ხოლო 2019 წელს 26 ბრძანება (აღნიშნული გადაწყვეტილებებიდან სამი მოქალაქის მიერ გასაჩივრებულ იქნა შესაბამის რაიონულ სასამართლოში, რომლებიც ითხოვდნენ დაჯარიმების შესახებ გადაწყვეტილებების ბათილად ცნობას იმ მოტივით, რომ მათ მიერ არ იყო განხორციელებული აღნიშნული მშენებლობები. ორ შემთხვევაში სასამართლომ დააკმაყოფილა მოსარჩელეთა მოთხოვნა და მიიჩნია, რომ სამშენებლო სამართალდარღვევის პროცესში ვერ იქნა დადგენილი სამართალდამრღვევი სუბიექტი, ხოლო ერთი საქმის განხილვა დღეის მდგომარეობით მიმდინარეობს). რაც შეეხება 2021 წლის მონიტორინგის საფუძველზე გამოვლენილ სამართალდარღვევებს, დღეის მდგომარეობით გამოვლენილი და არღიცხულია 650-მდე სამართალდარღვევის ფაქტი. აქედან იდენტიფიცირებულია 130 მოქალაქე, 28-ზე გამოიცა დადგენილება დაჯარიმების შესახებ. (აღნიშნული გადაწყვეტილებებიდან ერთი მოქალაქის მიერ გასაჩივრებულ იქნა შესაბამის რაიონულ სასამართლოში, რომლებიც ითხოვდნენ დაჯარიმების შესახებ გადაწყვეტილებების ბათილად ცნობას იმ მოტივით, რომ მათ აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე წლეების განმავლობაში განთავსებული ქონდა აღნიშნული შენობა-ნაგებობა. ასევე, 2021 წელს მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოცემული იქნა დაუდგენელი პირების მიერ განხორციელებული უნებართვო მშენებლობის ფაქტებზე დემონტაჟის 400 დადგენილება. 2022 წლის მონაცემებით გამოცემული იქნა 35 დადგენილება

დემონტაჟის შესახებ და 4 დადგენილება დაჯარიმების და დემონტაჟის შესახებ. სხვა საქმეებზე კანონით დადგენილი წესის შესაბამისად, მიმდინარეობს სამშენებლო სამართალდარღვევის საქმისწარმოება სამართალდამრღვევი პირების დადგენის და შესაბამისი ღონისძიებების გასატარებლად. აღნიშნული გადაწტყვეტილებები კანონით დადგენილი წესის შესაბამისად, იძულებით აღსრულებისთვის გადაიგზავნა სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს აჭარისა და გურიის ტერიტორიულ ორგანოში, მაგრამ მათი იძულებით აღსრულება არ განხორციელდა. რაც შეეხება დადგენილებას დემონტაჟის შესახებ, შემდგომი რეაგირების მიზნით გადაგზავნილი იქნა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერთან. გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ამათგან დაბა ბახმაროს მიმდებარე ტერიტორიაზე (საჯავახოს დასახლება, მზის ჩასავალი გორა) გამოვლენილი და აღრიცხული იქნა 110 უნებართვოთ აშენებული სახლი, რომელზეც მიმდინარეობს პროცესი მეპატრონის იდენტიფიცირებისა და შესაბამისი სამართლებრივი რეაგირების განსახორციელებლად. დამატებით მოგახსენებთ, რომ გამოვლენილი და აღრიცხული უნებართვო მშენებლობებიდან შენობა-ნაგებობის უმრავლესობა არ წარმოადგენს საცხოვრებლად ვარგისს, რადგან ნაგებობები აგებულია ხის კარკასის სახით, შემოკრულია ზედ თუნუქი და არ გააჩნია კარ -ფანჯარა, იატაკი. ასევე ჩოხატაურის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ დაბა ბახმაროში გამოვლენილი იქნა 200 მდე დაუდგენელი პირის მიერ სახელმწიფო მიწის უნებართვო დაკავების ფაქტები, (კერძოდ საძირკვლები), რომლის სადემონტაჟო პროცესი მიმდინარეობს, რათა არ მოხდეს მასზე შენობაგადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი ნაგებობის განთავსება. ზემოაღნიშნულმა პროცესმა მაქსიმალურად შეაჩერა ახალი უნებართვო მშენებლობების გაგრძელება დაბა ბახმაროში. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გატარებული არაერთი ღონისძიების მიუხედავად, რომელშიც ჩართულები არიან მხარის რწმუნებული, ასევე ჩოხატაურის, საქართველოს შინაგანსაქმეთა სამინისტროსა და გარემოსდაცვის ზედამხედველობის სამსახურები, უნებართვო მშენებლობების შეჩერება ბოლომდე ვერ ხერხდება.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფ ბასილეთში 2021 წელს გამოვლინდა სახელმწიფო მიწის უკანონო დაკავების ფაქტი, რომელზედ შედგა ადმინისტრაციული სამაღთალდარღვევათა ოქმი და კანონის შესაბამისად გადაიგზავნა

სასამართლოში. ასევე დაბის ტერიტორიაზე გამოვლინდა უნებართვო მშენებლობის ფაქტები, რომლებზეც მიმდინარეობს კანონის შესაბამისი რეაგირების განხორციელება.

განცხადების საფუძველზე გადაწყვეტილ იქნა სამეზობლო დავის საკითხები, ენერგო-პრო ჯორჯიას მომართვის საფუძველზე განხილული იქნა სოფელ ნაბეღლავსა და ერკეთში მთავარი ელექტრო გადამცემი ხაზის საკითხი, დაბის და ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე განხორციელდა გარე ვაჭრობების რეგულირება, კონტროლს უწევთ არ მოხდეს იერსახის თვითნებური შეცვლა, გარე რეკლამის განთავსება, დასუფთავებაზე ზედამხედველობა. მუდმივად ვახორციელებთ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მონიტორინგს. 2021 წლის მონაცემებით გარემოსდაცვის მიმართულებით, გამოვლენილი იქნა დაბა ბახმაროში ნაყოფიერი ფენის მოხსნის ფაქტები, რომელზეც შემდგომი რეაგირების მიზნით მოთხოვნა გადაგზავნილი იქნა გარემოს დაცვის დეპარტამენში.

სამსახურის გამართული ფუნქციონირების მიზნით, მუშავდება სამსახურის მიზნები და ამ მიზნის შესრულებასთან დაკავშირებული რისკების ანალიზი, ასევე კონტროლის მექანიზმი, რომელიც გააუმჯობესებს სამსახურის ქმედითუნარიანობას.